

## თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟი



### მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია  
**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** – საბაზო განათლება

**მიზანი:** პროგრამის მიზანია უზრუნველყოს თაბაშირმუყაოს სპეციალისტის კომპეტენტური კადრების მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს და აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად ზოგად უნარებს, გარდა ამისა, არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღრმავოს პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინოს დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს სტუდენტთა მობილობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

**სწავლის შედეგები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია ტიხრების კონსტრუქციის, შეკიდული ჭერების, კედლის კონსტრუქციის და ასაწყობი იატაკების მონტაჟი, მანსარდის მოპირკეთება, მრუდწირული კონსტრუქციების აგება, ფილების/პანელების მონტაჟი სამონტაჟო წებოთი

### **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის დიზაინერულ და სამშენებლო -სარემონტო კომპანიებში ან იყოს თვითდასაქმებული.

### **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- პროგრამის მოცულობა: 65 კრედიტი
  - სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა: 13 სასწავლო თვე
- პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. ანაგი
2. შპს. შარაგზა მშენი
3. შპს. ორბი გრუფი
4. შპს. გზა
5. შპს. MTS
6. შპს. კნაუფ გიფს თბილისი,